MED EL

გაკვეთილების კრებული

06 კატები და ძაღლები



hearLIFE

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების კრებული

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. რას აკეთებს?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. სად არის კატა?

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. გაფერადება

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

კატები და ძაღლები: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

რას აკეთებს? **რესურსები** • კატები და ძაღლები დ1 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · ამოიცნობს არასამეტყველო ხმებით · ცხოველების სახელები · ზმნა: (ახლანდელი განგრძობითი დრო) • იგებს შეკითხვას: რას აკეთებს?	• ერთმანეთს ამთხვევს მაღალსეგმენტიანებს • აკეთებს კატების და ძაღლების აღნიშვნას • გამოთქვამს ზმნებს	• ირჩევს მისთვის გამორჩეულად საყვარელს • ამთხვევს იდენტურ სურათებს არსებითში და ზმნაში
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში? **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა2	• ითვისებს მოთხრობას • რეაგირებს მაღალსეგმენტიანებზე	• აღწერილობიდან იმეორებს ერთ სიტყვას	• ახდენს მთლიანი სურათიდან ერთი ნაწილის იდენტიფიცირებას
სად არის კატა? **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · ავეჯის ნივთები · ზმნა: იმალება • იგებს მნიშვნელობას: სად...? • ესმის სიტყვა "ქვეშ" მნიშვნელობა კონტექსტში • მიჰყვება მითითებებს: დახუჭე თვალები.	• იმეორებს/იყენებს ავეჯს • იყენებს ზმნას: დამალვა • გამოთქვამს სიტყვას "თვალები"	• იგებს თანდებულებს: ქვეშ • ესმის, რომ დანახვა = ცოდნას
გაფერადება **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა4	• საგნის მოსმენა · ცხოველის სხეულის ნაწილები • ესმის სიტყვა "თუ"-ს მნიშვნელობა კონტექსტში • იგებს მნიშვნელობას: შენი/ჩემი	• იმეორებს ცალკეულ სიტყვებს • იყენებს: ჩართვა/ გამორთვა	• ინარჩუნებს ყურადღებას მონაცვლეობითობის დროს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

კატები და ძაღლები: მეორე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

რას აკეთებს? **რესურსები** • კატები და ძაღლები დ2 ა1 • კატები და ძაღლები - დ2 დ3 ა1 ღილები	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · ცხოველების სახელები + ზმნა · ზედსართავი + არსებითი სახელი • იგებს შეკითხვას: რას აკეთებს?	• აერთიანებს სიტყვებს · კატას სძინავს · წითელი ღილი	• ირჩევს მისთვის გამორჩეულად საყვარელს • ამთხვევს იდენტურ სურათებს არსებითში და ზმნაში
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში? **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა2	• ითვისებს მოთხრობას/ სიმღერას •განსაზღვრავს აღწერით	• აღწერილობიდან იმეორებს სამ სიტყვას • იყენებს სიტყვას: სხვა	• განსაზღვრავს და საუბრობს მთლიანი სურათის ნაწილებზე
სად არის კატა? **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 ა3	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · ფერი + ავეჯის ნივთები • იგებს მნიშვნელობას: სად...? • ესმის სიტყვა "ქვეშ"-ის მნიშვნელობა	• ფერი + კატა • საუბრობს ავეჯის ფუნქციებზე • ამბობს: "დახუქე თვალები" • სვავს კითხვას: სად არის კატა? • ამბობს: ..... ქვეშ (ავეჯის ნივთი)	• ესმის, რომ დანახვა = ცოდნას და სიამოვნებას იღებს იმ ცოდნისგან, რაც სხვებს არ აქვთ
გაფერადება **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა4	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას · კატა/ძაღლი + სხეულის ნაწილები • ესმის სიტყვა "თუ"-ს მნიშვნელობა კონტექსტში • იგებს მნიშვნელობას: შენი/ჩემი	• აერთიანებს სიტყვებს · ცხოველი + სხეულის ნაწილი · ზმნა + სხეულის ნაწილი · ფერი + სხეულის ნაწილი • იყენებს: თავსახური + დახურვა/ახდა	• ინარჩუნებს ყურადღებას მონაცვლეობითობის დროს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

კატები და ძაღლები: მესამე დონე გაკვეთილების გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

რას აკეთებს? **რესურსები** • კატები და ძაღლები დ3 ა1	• ისმენს ცხოველს (+/-) მრავლობით რიცხვში + ზმნა	• მრავლობითი რიცხვი • დამხმარე ზმნები: არის/ არიან	• მსჯელობს უპირატესობებზე
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში? **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება სიტყვებს სიმღერაში •განსაზღვრავს აღწერით	• იმეორებს უმეტეს სიტყვას სიმღერაში • შეუძლია ჩამოაყალიბოს აღწერილობები	• გამოაქვს დასკვნები
სად არის კატა? **რესურსები** • კატები და ძაღლები დ3 ა3	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: · ზომა + ფერი + ავეჯის ნივთები	• ზედსართავი, ზედსართავი, არსებითი სახელი • საგანი, ზმნა, თანდებულიანი ფრაზა • ამატებს პროგრესულ აწმყო ზმნას	• ახდენს ადამიანის გრძნობების პროგნოზირებას მოთხრობიდან
გაფერადება **რესურსები** • კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა4	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას · ფერი + კატა/ძაღლი + სხეულის ნაწილი	• ზმნის დრო: მომავალი/ აწმყო/წარსული • კუთვნილებითი ბრუნვის მარკერი	• იყენებს სალაპარაკო ენას მონაცვლეობითი წესით • ითვალისწინებს სხვის არჩევანს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. რას აკეთებს?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსის 2 ეგზემპლარი პატარა ბარათებზე.
შეინახეთ თითოეული ცხოველის სრული გვერდი; ეს არის მთავარი გვერდები.
ამოჭერით კატისა და ძაღლის ბარათის თითო ასლი.

რესურსები

- კატები და ძაღლები d1 a1

თქვენ ერთად უნდა ითავაშოთ სურათის დამთხვევის თამაში.

1. ბავშვის წინ გვერდიგვერდ მოათავსეთ მთავარი გვერდები
2. ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებენ კატები და ძაღლები თითოეულ სურათზე.
3. აურიეთ ბარათები, დაალაგეთ ისინი შეკვრად, გამოსახულებით ქვემოთ და შემდეგ აიღეთ ერთი.
4. დამალეთ სურათი. დამწყები მსმენელის შემთხვევაში დაიწყეთ ცხოველის ხმებიდან, შემდეგ კი უთხარით კატა არის თუ ძაღლი.
5. წაახალისეთ ბავშვი, მიუთითოს რომელ გვერდს შეიძლება მიეკუთვებოდეს ეს სურათი და მეორე გვერდზე გაწიეთ.
6. დამალეთ სურათი მანამ, სანამ მშობელი/აღმზრდელი არ ჰკითხვას "რას აკეთებს?"
7. უპასუხეთ ზმნის გამოყენებით, მაგალითად: "მას სძინავს".
8. ბავშვი მის პოვნას შეეცდება.
9. მორიგეობით აიღეთ ბარათი და ისაუბრეთ მასზე. სხვები დასვამენ კითხვებს და გაარკვევენ თუ რომელი სურათი გაქვთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას - ბავშვს შეუძლია ინფორმაციის ერთი ერთეულის იდენტიფიცირება.
  - დამწყები მსმენელი; ცხოველების ხმები; მაგალითად: მიაუ, ეს კატაა.
  - არსებითი სახელი; მაგალითად: “მე მყავს ძაღლი”.
  - ზმნები; მაგალითად: ”მას სძინავს”.
- იგებს შეკითხვას: რას აკეთებს?

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები:დამწყები მსმენელისთვის ცხოველების ხმების გამოყენება ხელს შეუწყობს მათი ყურადღების მიპყრობას და აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. გამოიყენეთ ისინი მოკლე წინადადების დასაწყისში და ბოლოში ჩასვით არსებითი სახელი ან ზმნა, რათა ბავშვმა შეძლოს ინფორმაციის გაერთიანება და სიტყვების ამოცნობის უნარის განვითარება. ვუფ ვუფ, მე მყავს ძაღლი.

ფიქრის იგივე ადგილი: ცხოველის ამოცნობის შემდეგ, შეკითხვა;რას აკეთებს?- აი, რაზე იფიქრებს ბავშვი. მნიშვნელოვანია, რომ კითხვა დაუსვას არა ბარათის მფლობელმა, არამედ სხვა ადამიანმა, რადგან საუბრისას ჩვენ არ ვპასუხობთ საკუთარ კითხვებს. ჩურჩულით უკარნახეთ მშობელს/აღმზრდელს"იქნებ მკითხოთ: რას აკეთებს ის?"

მოსალოდნელი შედეგები

- ერთმანეთს ამთხვევს მაღალსეგმენტიანებს: ცხოველების ხმებს, მაგალითად მიაუ.
- ამბობს <u>კატა/ძაღლი.</u>
- გამოთქვამს ზმნებს: მაგალითად,<u>სძინავს, თამაშობს,</u> (ან ძირითად ზმნებს: მაგალითად ჭამა)

ძირითადი სტრატეგია

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: ბარათის დამალვა დაგეხმარებათ ბავშვის ყურადღების მიქცევაში. მას მოუნდება ბარათის დანახვა. გამოიყენეთ ეს ყურადღება იმ მოლოდინის გასამყარებლად, რომ ისინი რამეს იტყვიან. უზრუნველყავით ენის მოდელები და თვალის კონტაქტის საშუალებით დაიცადით, სანამ ბავშვი მას გაახმოვანებს.

მოსალოდნელი შედეგები

- ირჩევს მისთვის გამორჩეულად საყვარელს.
- ამთხვევს იდენტურ სურათებს არსებითში და ზმნაში.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: იმაზე საუბარი, თუ რომელი სურათი მოგწონთ, ეხმარება ბავშვს გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ. თქვენ შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ემთხვევა ზოგიერთი კატის სურათი ძაღლის ზოგიერთ სურათს, რადგან ისინი ერთსა და იმავეს აკეთებენ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. რას აკეთებს?

მომზადება

ამობეჭდეთ კატებისა და ძაღლების გვერდების 2 ეგზემპლარი პატარა ბარათებზე. შეინახეთ თითოეული ცხოველის სრული გვერდი; ეს არის "მთავარი გვერდები". დაჭერით დანარჩენი გვერდები, აურიეთ ბარათები და დააწყვეთ მაგიდაზე; ეს არის "გამოსაცნობი შეკვრა". დაბეჭდეთ ღილების ერთი ეგზემპლარი პატარა ბარათზე და დაჭერით.

რესურსები

- კატები და ძაღლები d2 a1
- კატები და ძაღლები - d2 d3 a1 ღილები

თქვენ უნდა ითამაშოს თამაში სახელწოდებით "სწრაფი ხელები".

1. დაალაგეთ ღილები ფერების მიხედვით და სთხოვეთ ბავშვს ფერის არჩევა.
2. შემდეგ ბავშვს შეუძლია ჰკითხოს სხვა მოთამაშეებს რა ფერი სურთ.
3. ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებენ კატები და ძაღლები გვერდების თითოეულ სურათზე.
4. უთხარით ბავშვსა და მშობელს/აღმზრდელს, რომ აიღოს ღილი. მათ ყველაზე სწრაფად უნდა იპოვონ ის სურათი, რომელზეც საუბრობთ და სხვებზე ადრე უნდა დაადონ თავიანთი ღილი შესაბამის სურათს.
5. აიღეთ გამოსაცნობი ბარათი შეკვრიდან, დამალეთ სურათი, დაასახელეთ ცხოველი და თქვით რას აკეთებს; მაგალითად:კატა სვამს.
6. ბარათს მოიგებს ის, ვინც პირველი დაადებს სურათს თავის ღილს .
7. თამაშის გასამარტივებლად დატოვეთ ღილი სურათზე. აიღეთ ღილი უფრო რთული თამაშისთვის.
8. რიგრიგობით აიღეთ ბარათი, რომ იყოთ "მოსაუბრე". მოსაუბრე ღილებს არ დებს. ღილებს დებენ მხოლოდ მსმენელები.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას:
  - ცხოველების სახელები + ზმნა მაგალითად: ძაღლი ხტუნაობს.
  - ზედსართავი + არსებითი სახელი მაგალითად: მწვანე ღილი.

ძირითადი სტრატეგია

აკუსტიკური აქცენტირება: ბევრი სურათი მოითხოვს ორივე ელემენტის მოსმენასა და გაგებას, რათა მოხდეს სწორი სურათის ამოცნობა; მაგალითად:კატას სძინავს და ძაღლს სძინავს. თუ ბავშვი ამბობს შეცდომით, გაიმეორეთ 2 საგანი და განსაკუთრებულად გაამახვილეთ ყურადღება იმ ნაწილზე, რომელიც ბავშვმა გამოტოვა. კიდევ ერთხელ მომისმინე, ძაღლსსძნავს.

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს სიტყვებს:
  - კატას სძინავს.
  - მწვანე ღილი.

ძირითადი სტრატეგიები

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: როდესაც დგება ბავშვის ჯერი იყოს "მოსაუბრე", ურჩიეთ, რომ დამალოს ბარათი ყველა სხვა მოთამაშესგან. (ეს რთულია... მას მოუნდება, რომ ყველას აჩვენოს). აუხსენით, რომ მან უნდა თქვას რა სურათია, ისე რომ თქვენ შეძლოთ სწრაფად დაადოთ თქვენი ღილი და დაიცადოთ.

გავრცობა და განგრძობა: როდესაც ბავშვები სწავლობენ სიტყვების შერწყმას, ისინი იწყებენ ძირითადი ინფორმაციული სიტყვების გაერთიანებას, მაგალითად: "კატა ძილი". ისეთი დრამატული რეაქცია, მაგალითად, როდესაც ყველა ჩქარობს თავისი ღილის დადებას - დიდი მისწრებაა, რადგან ამ დროს თქვენ შეგიძლიათ უზრუნველყოთ ენის გაფართოებული მოდელი; “დიახ, მე დავდე ჩემი ღილი სურათზე, სადაც კატას სძინავს”.

მოსალოდნელი შედეგები

- საუბრობს მისთვის გამორჩეულად საყვარელზე.
- ამთხვევს იდენტურ სურათებს არსებითში და ზმნაში.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი კატა და რომელი ძაღლი მოგწონთ ყველაზე მეტად. ეს ეხმარება ბავშვს გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა ადამიანებს მოსწონთ სხვადასხვა რამ. თქვენ შეგიძლიათ ასევე ისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ემთხვევა ზოგიერთი კატის სურათი ძაღლის ზოგიერთ სურათს, რადგან ისინი ერთსა და იმავეს აკეთებენ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. რას აკეთებს?

მომზადება

ამობეჭდეთ კატებისა და ძაღლების გვერდების 2 ეგზემპლარი პატარა ბარათებზე. შეინახეთ თითოეული ცხოველის სრული გვერდი; ეს არის "მთავარი გვერდები". დაჭერით დანარჩენი გვერდები, აურიეთ ბარათები და დააწყვეთ მაგიდაზე; ეს არის "გამოსაცნობი შეკვრა". დაბეჭდეთ ღილების ერთი ეგზემპლარი პატარა ბარათზე და დაჭერით.

რესურსები

- კატები და ძაღლები d3 a1
- კატები და ძაღლები - d2 d3 a1 ღილები

თქვენ უნდა ითამაშოს თამაში სახელწოდებით "სწრაფი ხელები".

1. დაალაგეთ ღილები ფერებად და სთხოვეთ ბავშვს ფერის არჩევა.
2. შემდეგ ბავშვს შეუძლია ჰკითხოს სხვა მოთამაშეებს რა ფერი სურთ.
3. ისაუბრეთ იმაზე, თუ რას აკეთებენ კატები და ძაღლები გვერდების თითოეულ სურათზე.
4. უთხარით ბავშვსა და მშობელს/აღმზრდელს, რომ აიღოს ღილი. მათ ყველაზე სწრაფად უნდა იპოვონ ის სურათი, რომელზეც საუბრობთ და სხვებზე ადრე უნდა დაადონ თავიანთი ღილი შესაბამის სურათს.
5. აიღეთ გამოსაცნობი ბარათი შეკვრიდან, დამალეთ გამოსახულება და აღწერეთ სურათი.
6. ბარათს მოიგებს ის, ვინც პირველი დაადებს სურათს თავის ღილს .
7. თამაშის გასამარტივებლად დატოვეთ ღილი სურათზე. აიღეთ ღილი უფრო რთული თამაშისთვის.
8. რიგრიგობით აიღეთ ბარათი, რომ იყოთ "მოსაუბრე". მოსაუბრე ღილებს არ დებს. ღილებს დებენ მხოლოდ მსმენელები.

მოსალოდნელი შედეგები

- უსმენს ცხოველს + მრავლობითი რიცხვი + ზმნა; მაგალითად: კატას სძინავს / კატებს სძინავთ.

ძირითადი სტრატეგიები

აკუსტიკური აქცენტირება: ბევრი სურათი მოითხოვს ყველა ელემენტის მოსმენასა და გაგებას, რათა მოხდეს სწორი სურათის ამოცნობა; მაგალითად: "კატას სძინავს" და"კატებს სძინავთ", ან "ძაღლს სძინავს" და"ძაღლებს სძინავთ". თუ ბავშვი ამბობს შეცდომით, გაიმეორეთ მინიშნება და განსაკუთრებულად გაამახვილეთ ყურადღება იმ ნაწილზე, რომელიც ბავშვმა გამოტოვა. კიდევ ერთხელ მომისმინე, ძაღლსსძნავს.

საბოტაჟი: თუ თქვენ მარტივ თამაშს თამაშობთ, მაშინ, როდესაც ბოლო ბარათამდე მიხვალ, ყველა დანარჩენი სურათი დაფარული იქნება ღილებით ბოლო ერთის გარდა. შეგიძლიათ გაართულოთ ბოლო ბარათის გამოცხადება იმით, რომ არასწორედ გააკეთოთ მინიშნება და დააბნიოთ მოთამაშეები, მათ უნდა დაიცადონ, სანამ სწორ დახასიათებას არ გააკეთებთ, რის შემდეგაც ისინი თავიანთ ღილს ბოლო სურათს დაადებენ. გააკეთეთ სასაცილო მინიშნება: ძაღლი საპირფარეშოშია, შემდეგ კი თქვით ნაწილობრივ სწორი მინიშნება და შეხედეთ, ვინ გაამოძრავებს თავიანთ ღილს.

მოსალოდნელი შედეგები

- მრავლობითი რიცხვი: კატები/ძაღლები.
- დამხმარე ზმნები: არის/არიან.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: სანამ "სწრაფი ხელების" თამაშს დაიწყებთ, ისაუბრეთ თითოეულ რიგში არსებულ თითოეულ სურათზე. თითოეული რიგზე ლაპარაკისას გამოყენებული წინადადებების განმეორება, დაეხმარება ბავშვს სწორი დამხმარე ზმნის შერჩევასა და გამოყენებაში.

აკუსტიკური აქცენტირება: აღნიშნეთ სურათებს შორის არსებული მსგავსებები, რათა აკუსტიკურად მიუთითოთ სამიზნე გრამატიკული მარკერები. ბავშვს შეეძლება დაინახოს წინადადების ბოლოს არსებული მცირე განსხვავებები მხოლობით და მრავლობით სახელებს შორის. შეხედე ამ რიგს; თითოეულ სურათზე არის მხოლოდ ერთი კატა. ეხლა ნახე ეს რიგი; ამ სურათებზე არიან კატები.

მოსალოდნელი შედეგები

- მსჯელობს უპირატესობებზე.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი შინაური ცხოველია უკეთესი და იმსჯელეთ კარგი იქნებოდა გყოლოდათ ერთი თუ ორი ცხოველი და რატომ ფიქრობთ ასე. ეს ეხმარება ბავშვს გაიგოს, რომ ადამიანებს სხვადასხვა მიზეზების გამო სხვადასხვა რამ მოსწონთ და შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული აზრი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. რას აკეთებს?

კატები











© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. რას აკეთებს?

ძაღლები







© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. რას აკეთებს?

კატები











© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. რას აკეთებს?

ძაღლები





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. რას აკეთებს?

კატები











© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. რას აკეთებს?

ძაღლები













© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე; დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ სურათები პატარა გამოვიდეს.
ამოჭერით გვერდები, ააწყეთ წიგნი და აკინძეთ იგი სტეპლერით.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა2
- საბავშვო მაკრატელი/ სტეპლერი

თქვენ უნდა იმღეროთ სიმღერა, სიმღერის წიგნის დახმარებით.

1. აუხსენით, რომ ძაღლი არის მაღაზიის ფანჯარაში.
2. იმღერეთ პირველი ორი სტრიქონი და გააკეთეთ პაუზა, რათა მისცეთ ბავშვს სიტყვების აღქმის დრო.
3. აიღეთ სიმღერის სტრიქონიდან რაიმე აღწერა და მიუთითეთ შესაბამის სურათზე, მაგალითად კუდის ქიცინი.
4. იმღერეთ წიგნის თითოეული გვერდი მის დასრულებამდე.
5. იმსჯელეთ იმაზე, თუ რომელი ძაღლის წაყვანას ისურვებდით სახლში.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს მოთხრობას.
- რეაგირებს მაღალსეგმენტიანებზე.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა სიმღერის მელოდია ერთდროულად ასტიმულირებს ტვინის რამდენიმე უბანს. ამასთან, სიმღერაში რეგულარული რიტმი, ტონის ცვლილება და სიტყვებზე აქცენტირება, ბავშვს უმარტივებს სიტყვების დამახსოვრებას. დაუკვირდით ბავშვის რეაქციას მაღალსეგმენტიანებზე, რომელიც შეიძლება აჰყვეს რიტმს ქანაობით ან მოძრაობებით.

აკუსტიკური აქცენტირება: სიმღერა - ბუნებრივი აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა. მოახდინეთ ამის კომბინირება ყოველი სტრიქონის ბოლოში პაუზის გაკეთებით და სიმღერაში ინფორმაციულ სიტყვებზე აქცენტირებით.

მოსალოდნელი შედეგები

- აღწერილობიდან იმეორებს ერთ სიტყვას.

ძირითადი სტრატეგიები

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: პირველი დონის მსმენელს მოეწონება სიმღერის მოსმენა, მაგრამ შესაძლოა დასჭირდეს სიმღერის რამდენჯერმე გამეორება, სანამ გაარკვევს რომელი სიტყვა როდის უნდა თქვას. იმღერეთ ნელა, რათა მისცეთ ბავშვს შესაძლებლობა შემოუერთდეს სიმღერას და ამოიცნოს და შეაფასოს ნებისმიერი ხმა.

სმენითი დასრულება: როდესაც ბავშვი აითვისებს სიმღერას და ძაღლის აღწერას, შეგიძლიათ დაიწყოთ სტრიქონი და გაწყვიტოთ ისე, რომ ბავშვმა თვითონ დაასრულოს ბოლო სიტყვაის, რომელიც აქიცინებს ….

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს მთლიანი სურათიდან ერთი ნაწილის იდენტიფიცირებას.

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: მიუთითეთ თითოეულ ძაღლს შორის განსხვავებაზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს მოძებნოს კავშირი მასსა და სიმღერის თითოეულ სტროფში არსებულ სიტყვებს შორის. ბავშვმა შეიძლება მიუთითოს სურათის სხვა ნაწილზე, მაგალითად ბანტზე ან ცხვირზე. უზრუნველყავით ენის მოდელები იმაზე, რაზეც შეიძლება ფიქრობდეს ბავშვი და ეცადეთ მოიგონოთ ახალი სიტყვები სიმღერისთვის..

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე; დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ სურათები პატარა გამოვიდეს.
ამოჭერით გვერდები, ააწყეთ წიგნი და აკინძეთ იგი სტეპლერით.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა2
- საბავშვო მაკრატელი/ სტეპლერი

თქვენ უნდა იმღეროთ სიმღერა, სიმღერის წიგნის დახმარებით.

1. აუხსენით, რომ ძაღლი არის მაღაზიის ფანჯარაში.
2. იმღერეთ პირველი ორი სტრიქონი და გააკეთეთ პაუზა, რათა მისცეთ ბავშვს სიტყვების აღქმის დრო.
3. აიღეთ სიმღერის სტრიქონიდან რაიმე აღწერა და მიუთითეთ შესაბამის სურათზე, მაგალითად კუდის ქიცინი.
4. იმღერეთ წიგნის თითოეული გვერდი მის დასრულებამდე.
5. იმსჯელეთ იმაზე, თუ რომელი ძაღლის წაყვანას ისურვებდით სახლში.

მოსალოდნელი შედეგები

- ითვისებს მოთხრობას/სიმღერას.
- განსაზღვრავს აღწერით.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა სიმღერის მელოდია ერთდროულად ასტიმულირებს ტვინის რამდენიმე უბანს. ამასთან, სიმღერაში რეგულარული რიტმი, ტონის ცვლილება და სიტყვებზე აქცენტირება, ბავშვს უმარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

აკუსტიკური აქცენტირება: სიმღერა - ბუნებრივი აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა. მოახდინეთ ამის კომბინირება ყოველი სტრიქონის ბოლოში პაუზის გაკეთებით და სიმღერაში ინფორმაციულ სიტყვებზე აქცენტირებით.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს 2-3 სიტყვას აღწერილობიდან.
- იყენებს სიტყვას: სხვა.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: სიმღერის განმეორება ბავშვს აძლევს კარგ შესაძლებლობას გაავარჯიშოს თავისი აუდიტორული უკუკავშირის ციკლი. ის მოისმენს პირველ სტრიქონს და საშუალება ექნება წარმოთქვას ამ სიტყვების საკუთარი ვერსია სიმღერის სტროფის მესამე სტრიქონში და შეადაროს თავისი ნათქვამი თქვენს მიერ წარმოთმულს. დამატებით, თქვენ შეგიძლიათ აღწერას დაურთოთ ექო, რათა მისცეთ ბავშვს ამ უნარების განვითარების კიდევ ერთი შესაძლებლობა. ის, რომელიც აქიცინებს კუდს... აქიცინებს კუდს.

სმენითი დასრულება: როდესაც ბავშვი აითვისებს სიმღერას და ძაღლის აღწერას, შეგიძლიათ დაიწყოთ სტრიქონი და გაწყვიტოთ ისე, რომ ბავშვმა თვითონ დაასრულოს ბოლო 2-3 სიტყვა, ის, რომელიც აქიცინებს კუდს...

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები გეხმარებათ ბავშვის ჩართულობაში და შემდეგ სიტყვაზე ყურადღების მიპყრობაში; ოჰ, ნახე! კიდევ ერთი ძაღლი! გამოიყენეთ სხვადასხვა სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები,რათა მიიქციოთ მისი ყურადღება და მისცეს მას შესაძლებლობა გააკეთოს თავისი ასაკის შესაბამისი შორისდებულები; საყვარელი! ჰეი, შეხედე. ვაუ. უჰ ოჰ.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს მთლიანი სურათიდან ერთი ნაწილის იდენტიფიცირებას.

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: მიუთითეთ თითოეულ ძაღლს შორის განსხვავებაზე, რათა დაეხმაროთ ბავშვს მოძებნოს კავშირი მასსა და სიმღერის თითოეულ სტროფში არსებულ სიტყვებს შორის. ბავშვმა შეიძლება მიუთითოს სურათის სხვა ნაწილზე, მაგალითად ბანტზე ან ცხვირზე. უზრუნველყავით ენის მოდელები იმაზე, რაზეც შეიძლება ფიქრობდეს ბავშვი და ეცადეთ მოიგონოთ ახალი სიტყვები სიმღერისთვის..

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე; დაბეჭდეთ 4 გვერდი ერთზე, რომ სურათები პატარა გამოვიდეს.
ამოჭერით გვერდები, ააწყეთ წიგნი და აკინძეთ იგი სტეპლერით.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა2
- საბავშვო მაკრატელი/ სტეპლერი

თქვენ უნდა იმღეროთ სიმღერა, სიმღერის წიგნის დახმარებით.

1. აუხსენით, რომ ძაღლი არის მაღაზიის ფანჯარაში.
2. იმღერეთ პირველი ორი სტრიქონი და გააკეთეთ პაუზა, რათა მისცეთ ბავშვს სიტყვების აღქმის დრო.
3. აიღეთ სიმღერის სტრიქონიდან რაიმე აღწერა და მიუთითეთ შესაბამის სურათზე, მაგალითად კუდის ქიცინი.
4. იმღერეთ წიგნის თითოეული გვერდი მის დასრულებამდე.
5. იმსჯელეთ იმაზე, თუ რომელი ძაღლის წაყვანას ისურვებდით სახლში.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება სიტყვებს სიმღერაში.
- განსაზღვრავს აღწერით; მაგალითად: ის რომელსაც სახეზე ტალახი აქვს.

ძირითადი სტრატეგიები

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა სიმღერის მელოდია ერთდროულად ასტიმულირებს ტვინის რამდენიმე უბანს. ამასთან, სიმღერაში რეგულარული რიტმი, ტონის ცვლილება და სიტყვებზე აქცენტირება, ბავშვს უმარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

აკუსტიკური აქცენტირება: სიმღერა - ბუნებრივი აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა. მოახდინეთ ამის კომბინირება ყოველი სტრიქონის ბოლოში პაუზის გაკეთებით და სიმღერაში ინფორმაციულ სიტყვებზე აქცენტირებით.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს უმეტეს სიტყვას სიმღერაში.
- შეუძლია ჩამოაყალიბოს აღწერილობები.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: სიმღერის განმეორება ბავშვს აძლევს კარგ შესაძლებლობას გაავარჯიშოს თავისი აუდიტორული უკუკავშირის ციკლი. ის მოისმენს პირველ სტრიქონს და საშუალება ექნება წარმოთქვას ამ სიტყვების საკუთარი ვერსია სიმღერის სტროფის მესამე სტრიქონში და შეადაროს თავისი ნათქვამი თქვენს მიერ წარმოთმულს. დამატებით, თქვენ შეგიძლიათ აღწერას დაურთოთ ექო, რათა მისცეთ ბავშვს ამ უნარების განვითარების კიდევ ერთი შესაძლებლობა. ის, რომელიც აქიცინებს კუდს... აქიცინებს კუდს.

სმენითი დასრულება: როდესაც ბავშვი აითვისებს სიმღერას და ძაღლის აღწერას, შეგიძლიათ დაიწყოთ სტრიქონი და გაწყვიტოთ ისე, რომ ბავშვმა თვითონ დაასრულოს ბოლო 4-5 სიტყვა, ის.....

გავრცობა და განგრძობა: იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ არის ძაღლი აღწერილი ყოველ სტროფში; მაგალითად: აქიცინებს კუდსს/თათები აქვს ჰაერში/ჯოხი აქვს პირში და ისაუბრეთ თითოეული ძაღლის აღწერის სხვა ხერხებზე.

მოსალოდნელი შედეგები

- გამოაქვს დასკვნები; მაგალითად: ეს ძაღლი შეიძლება იყოს გოგო, რადგან მას აქვს ვარდისფერი ბანტი.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დასკვნა არის მოსაზრება, რომელსაც ბავშვი ავითარებს რაიმეს შესახებ არსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით. დასკვნა გვეხმარება ჩვენი სამყაროს გაცნობაში და მნიშვნელოვანი უნარია ახალი სიტყვების მნიშვნელობის განსაზღვრისას. ზოგჯერ ცოტა გამოცნობაცაა დაჭირო. უზრუნველყავით ენის მოდელები ამ პროცესითვის და წაახალისეთ ბავშვი, რომ მანაც „იფიქროს“. ვფიქრობ, ეს ძაღლი შეიძლება დრუნჩა იყოს. მისი სახე ტალახშია. შეიძლება ის გამოიქცა ბაღში და ორმო ამოთხარა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?



რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 100 გრ



რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
ის, რომელიც აქიცინებს კუდს.
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
იმედი მაქვს რომ ის იყიდება.



რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
ის, რომელსაც თათები აქვს ჰაერში.
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
იმედი მაქვს რომ ის იყიდება.



რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
ის, რომელსაც ჯოხი აქვს პირში.
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
იმედი მაქვს რომ ის იყიდება.



რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
ის, რომელსაც ბანტი აქვს თავზე.
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
იმედი მაქვს რომ ის იყიდება.



რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?
ის, რომელსაც სახეზე ტალახი აქვს.
რა ღირს ეს ძაღლუკა ფანჯარაში?



მე მას ჩემთან წავიყვან სახლში.

აქტივობა

3. სად არის კატა?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე.
ამოჭერით სურათები ისე, რომ კატის ბარათების ქვემოთ დარჩეს ცარიელი ადგილი.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 ა3
- ოთხი პლასტმასის ჭიქა (არ უნდა იყოს გამჭვირვალე)
- წებოვანი ლენტი და ორმხრივი სკოჩი

თქვენ უნდა ითამაშოთ კატასთან დამალობანა.

1. ბავშვთან ერთად გადაკეცეთ თითოეული კატის ბარათის ქვეშ ისე, რომ კატების სურათი დადგეს.
2. ისაუბრეთ ავეჯის ნაწილებზე და აიღეთ ოთხი ცალი.
3. დაამაგრეთ ავეჯის სურათები ოთხი ამოტრიალებული ჭიქის თავზე.
4. უთხარით ბავშვს დახუჭოს თვალები და დამალეთ კატა ერთ-ერთი ჭიქის ქვეშ.
5. უთხარით ბავშვს გაახილოს თვალები.
6. ჰკითხეთ „სად არის კატა?“ და წაახალისეთ ბავშვი გააგრძელოს გამოცნობა მანამ, სანამ არ იპოვის.
7. მოაშორეთ ავეჯის სურათი და შეცვალეთ სხვა სურათით.
8. რიგრიგობით დამალეთ კატა.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:
  - ავეჯის ნივთები: საწოლი, სკამი, ხალიჩა, მაგიდა, სავარძელი, ბუფეტი, წიგნების კარადა, კომოდი, საწერი მაგიდა.
  - ზმნები: დამალვა + ფუნქციური ზმნები: დაიძინე, დაჯექი, გაიწმინდე ფეხები, ჭამე (ისადილე).
- იგებს მნიშვნელობას: სად...?

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბავშვს მოუნდება მაშინვე შეიხედოს ჭიქების ქვეშ.. წაახალისეთ რომ ჯერ მოუსმინოს მოდელირებულ ენას: მოდი ჩავიხედოთ საწოლის ქვეშ.

გავრცობა და განგრძობა: როდესაც ბავშვი იწყებს ავეჯის ნივთების სახელების სწავლას, განავრცეთ მათი ცოდნა ამ ნივთების ფუნქციების შესახებ საუბრის დამატებით ოჰ, შენ გინდა საწოლი... ის, რაზეც ჩვენ გვძინავს.

აკუსტიკური აქცენტირება: გააკეთეთ პატარა აქცენტი სიტყვებზე სად ოდნავ გაზარდეთ შეკითხვის ინტონაცია, რათა დაეხმაროთ ბავშვს გაიგოს სხვაობა განმარტებასა და შეკითხვას შორის. სად არის კატა?

მოსალოდნელი შედეგები

- აღნიშნავს იმეორებს/იყენებს ავეჯს.
- იყენებს ზმნას: დამალვა.
- გამოთქვამს სიტყვას "თვალები".

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: შესთავაზეთ ბავშვს ავეჯის სურათების ვარიანტები, რომლებიც ჭიქებს ზემოდან უნდა დაადოს. დაიწყეთ ორი ვარიანტით. მეორე სიტყვად დაასახელეთ ის, რომელსაც ფიქრობთ რომ ბავშვი ყველაზე მეტად მოისურვებს გამოიყენოს, საწერი მაგიდა გინდა თუ საწოლი? თუ ბავშვი უკვე იყენებს ავეჯის რამდენიმე სიტყვას, მეორე სიტყვად დაასახელეთ ახალი სიტყვა ისე, რომ მოხდეს მისი აკუსტიკური აქცენტირება: საწოლი გინდა თუ ბუფეტი?

დაელოდეთ (დაელოდეთ). (დაელოდეთ).: როდესაც დგება ბავშვის ჯერი რომ დამალოს კატა, შეახსენეთ მას უთხრას თავის მშობელს/აღმზრდელს, რომ დახუჭონ თვალები. ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ სანამ ბავშვი ლაპარაკობს, ჰქონდეთ გახელილი თვალები.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ დანახვა = ცოდნას

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დასაწყისში ბავშვმა შეიძლება ვერ გაიგოს, რატომ არ იცის მისმა მშობელმა/აღმზრდელმა, თუ სად არის კატა. დაეხმარეთ მას გაგებაში ფიქრისთვის სალაპარაკო ენის უზრუნველყოფით; “დედა ვერ ხედავს. მან არ იცის სად არის კატა. მოიცა. არ უთხრა. აცადე გამოიცნოს.” აკუსტიკური ეფექტისთვის გამოიყენეთ ჩურჩული, რათა მიიპყროთ ბავშვის ყურადღება და დაამატოთ დრამატიზმი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. სად არის კატა?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე.
ამოჭერით სურათები ისე, რომ კატის ბარათების ქვემოთ დარჩეს ცარიელი ადგილი.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 ა3
- ოთხი პლასტმასის ჭიქა (არ უნდა იყოს გამჭვირვალე)
- წებოვანი ლენტი და ორმხრივი სკოჩი

თქვენ უნდა ითამაშოთ კატასთან დამალობანა.

1. ბავშვთან ერთად გადაკეცეთ თითოეული კატის ბარათის ქვეშ ისე, რომ კატების სურათი დადგეს.
2. დააყენეთ სამი კატა ერთ ხაზზე და ისაუბრეთ მათ ფერებზე.
3. ისაუბრეთ ავეჯის ნაწილებზე და აიღეთ ოთხი ცალი.
4. დაამაგრეთ ავეჯის სურათები ოთხი ამოტრიალებული ჭიქის თავზე.
5. უთხარით ბავშვს დახუჭოს თვალები და დამალეთ ერთი კატა ჭიქის ქვეშ.
6. უთხარით ბავშვს გაახილოს თვალები და ჰკითხეთ: „რომელი კატა აკლია?“
7. როდესაც ბავშვი გამოიცნობს, ჰკითხეთ: "სად არის ის?"
8. წაახალისეთ ბავშვი გააგრძელოს გამოცნობა მანამ, სანამ არ იპოვის.
9. მოაშორეთ ავეჯის სურათი და შეცვალეთ სხვა სურათით.
10. რიგრიგობით დამალეთ კატა.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას:
  - ფერი + ავეჯის ნივთები; მაგალითად: ნარინჯისფერი კატა არის მაგიდის ქვეშ.

ძირითადი სტრატეგიები

სმენითი მეხსიერების შექმნა: ამ აქტივობის ეტაპები უზრუნველყოფენ სტრუქტურულ ელემენტებს ორი საგნის იდენტიფიცირებისთვის. ბავშვებმა იციან, რომ კატას ეძებენ, ასე რომ, ეს არ არის მათთვის უცნობი საგანი. ასევე, თანდებული „ქვეშ“ მუდმივია, ასე რომ ბავშვს არ სჭირდება ინფორმაციის ამ ნაწილის ათვისება. ეტაპი „რომელი კატა აკლია?“ ეხმარება ბავშვს ერთი საგნის ათვისებაში: ფერი. მეორე ეტაპი: „სად არის ის?“ ეხმარება ბავშვს ამოიცნოს და აითვისოს სხვა ცვლადი ინფორმაცია.

გავრცობა და განგრძობა: როდესაც ბავშვი თავდაჯერებულად დაიწყებს ავეჯის ნივთების სახელების გამოყენებას, გააგრძელეთ თამაში მინიშნებების გამოყენებით, რათა დაეხმაროთ ბავშვს ბარათის მოძებნაში ავეჯის ფუნქციის აღწერით. ეს შავი კატა შეიძლება იმის ქვეშ იყოს, რომელზეც ჩვენ ვსხედვართ.

მოსალოდნელი შედეგები

- ამბობს: ფერი + კატა; მაგალითად შავი კატა. (ავეჯის ნივთი) ქვეშ; მაგალითად: მაგიდის ქვეშ.
- კითხულობს: სად არის კატა?
- ამბობს“დახუჭე თვალები”

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მოახდინეთ სამიზნე სასაუბრო ენის მოდელირება ვარიანტების სახით. რომელი კატა აკლია: ნარინჯისფერი კატა, თუ ყავისფერი კატა თუ ნაცრისფერი კატა? ეს მეთოდი საშუალებას აძლევს ბავშვს გამოიყენოს თავისი ვიზუალური მეხსიერების უნარები, სალაპარაკო ენის გახსენების გარეშე. გამოიყენეთ იგივე მეთოდი შეკითხვისთვის სად არის ის? თქვენს ვარიანტებიან შეკითხვაში „ქვეშ“ თანდებულის დამატებით. როგორ ფიქრობ, ისმაგიდის ქვეშ არის თუ საწოლის ქვეშ?

დაელოდეთ (დაელოდეთ). (დაელოდეთ).: როდესაც დგება ბავშვის ჯერი რომ დამალოს კატა, შეახსენეთ მას უთხრას თავის მშობელს/აღმზრდელს, რომ დახუჭონ თვალები. ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს, ჰქონდეთ გახელილი თვალები მანამ, სანამ ბავშვი არ შეეცდება 3 სიტყვის წარმოთქმას.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ დანახვა = ცოდნას და სიამოვნებას იღებს იმ ცოდნისგან, რაც სხვებს არ აქვთ.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ბავშვს მოუნდება ყველას უთხრას სად დამალა კატა. იმისათვის, რომ გააგებინოთ ბავშვს ამ თამაშის აზრი, დასჭირდება ბევრი ახსნა. დედა ვერ ხედავს. მან არ იცის სად არის კატა. მოიცა. არ უთხრა. ეს სიურპრიზია. აცადე გამოიცნოს. აკუსტიკური ეფექტისთვის გამოიყენეთ ჩურჩული, რათა მიიპყროთ ბავშვის ყურადღება და დაამატოთ დრამატიზმი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. სად არის კატა?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათზე.
ამოჭერით სურათები ისე, რომ კატის ბარათების ქვემოთ დარჩეს ცარიელი ადგილი.

რესურსები

- კატები და ძაღლები d3 a3
- ოთხი პლასტმასის ჭიქა (არ უნდა იყოს გამჭვირვალე)
- წებოვანი ლენტი და ორმხრივი სკოჩი

თქვენ უნდა ითამაშოთ კატასთან დამალობანა.

1. ბავშვთან ერთად გადაკეცეთ თითოეული კატის ბარათის ქვეშ ისე, რომ კატების სურათი დადგეს.
2. დააყენეთ ექვსი კატა ერთ ხაზზე და ისაუბრეთ მათ ზომაზე და ფერზე.
3. ისაუბრეთ ავეჯის ნაწილებზე და აიღეთ ოთხი ცალი.
4. დაამაგრეთ ავეჯის სურათები ოთხი ამოტრიალებული ჭიქის თავზე.
5. უთხარით ბავშვს დახუჭოს თვალები და დამალეთ ერთი კატა ჭიქის ქვეშ.
6. უთხარით ბავშვს გაახილოს თვალები და ჰკითხეთ: "რომელი კატა აკლია?“
7. როდესაც ბავშვი გამოიცნობს, ჰკითხეთ: "სად არის ის?"
8. წაახალისეთ ბავშვი გააგრძელოს გამოცნობა მანამ, სანამ არ იპოვის.
9. მოაშორეთ ავეჯის სურათი და შეცვალეთ სხვა სურათით.
10. რიგრიგობით დამალეთ კატა.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას:
  - ზომა + ფერი + ავეჯის ნივთები; მაგალითად: დიდი ნაცრისფერი კატა არის მაგიდის ქვეშ.

ძირითადი სტრატეგია

სმენითი მეხსიერების შექმნა:ამ აქტივობის ეტაპები უზრუნველყოფენ სტრუქტურულ ელემენტებს სამი საგნის მოსასმენად. ბავშვებმა იციან, რომ კატას ეძებენ, ასე რომ, ეს არ არის მათთვის უცნობი საგანი. ასევე, თანდებული „ქვეშ“ მუდმივია, ასე რომ ბავშვს არ სჭირდება ინფორმაციის ამ ნაწილის ათვისება. ეტაპი "რომელი კატა აკლია?“ ეხმარება ბავშვს ორი საგნის ათვისებაში: ზომა და ფერი. მეორე ეტაპი "სად არის ის?“ ეხმარება ბავშვს ამოიცნოს და აითვისოს სხვა ცვლადი ინფორმაცია. სრული წინადადების მოდელირებით "პატარა ნარინჯისფერი კატა არის საწოლის ქვეშ", ბავშვი დაიწყებს უფრო გრძელი წინადადებების მნიშვნელოვანი ელემენტების იდენტიფიცირების უნარის განვითარებას.

მოსალოდნელი შედეგები

- ზედსართავი, ზედსართავი, არსებითი სახელი; პატარა ნარინჯისფერი კატა.
- საგანი, ზმნა, თანდებულიანი ფრაზა; პატარა ნარინჯისფერი კატა არის საწოლის ქვეშ.
- ამატებს პროგრესულ აწმყო ზმნას; პატარა ნარინჯისფერი კატა იმალება ლოგინის ქვეშ.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მოახდინეთ სამიზნე სასაუბრო ენის მოდელირება ვარიანტების სახით, რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე წინადადების სრულ სტრუქტურას შუაზე პაუზით. ესე შენ ფიქრობ რომ პატარა ნარინჯისფერი კატა არის საწოლის ქვეშ…თუ …ფიქრობ, რომ პატარა ნარინჯისფერი კატა სავარძლის ქვეშ არის?

გავრცობა და განგრძობა: განავრცეთ წინადადება იმის განხილვით, თუ რას აკეთებს კატა საწოლის ქვეშ და მოახდინეთ განგრძობითი წინადადების მოდელირება. მე მგონია, რომ პატარა ნარინჯისფერ კატას სძინავს საწოლის ქვეშ.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ადამიანის გრძნობების პროგნოზირებას მოთხრობიდან.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მოიფიქრეთ რამდენიმე "რა მოხდება, თუ"-ს ტიპის ისტორია და ისაუბრეთ იმაზე, თუ რას იგრძნობენ ადამიანები. რა მოხდება, თუ კატა აიღებს ბავშვის სათამაშოს და მას მაგიდის ქვეშ ეთამაშება? რას იგრძნობდა ბავშვი? როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებს ბავშვი? რა მოხდება, თუ ის მამას თეფშიდან თევზს მოიპარავს და საწოლის ქვეშ შეჭამს? რას იგრძნობდა მამა? რას გააკეთებდა მამა?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად არის კატა?





















© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად არის კატა?





© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. სად არის კატა?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. გაფერადება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა4
- ფერადი ფანქრები და crayon-ები

თქვენ მორიგეობით უნდა გააფერადოთ ერთი ცხოველის ნაწილი.

1. შესთავაზეთ ბავშვს აირჩიოს კატის ან ძაღლის გაფერადება.
2. გადადეთ სხვა ცხოველი შემდეგისთვის.
3. აუხსენით და აჩვენეთ, თუ როგორ აპირებთ ცხოველის მხოლოდ ერთი ნაწილის გაფერადებას.
4. წაახალისეთ ბავშვი არჩიოს ფერი, შემდეგ აირჩიოს ცხოველის რომელი ნაწილი უნდა გააფერადოს. შესთავაზეთ მას ვარიანტები: შენ გინდა გააფერადო კატის ყური თუ კატის კუდი?
5. რიგრიგობით გააფერადეთ ჯერ კატა და მერე ძაღლი.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას:
  - ცხოველის სხეულის ნაწილები; მაგალითად კუდი.
- ესმის სიტყვა "თუ"-ს მნიშვნელობა კონტექსტში.
- ესმის ნაცვალსახელების მნიშვნელობა: შენი/ჩემი.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მოახდინეთ ბავშვისთვის ცხოველის ნაწილების მოდელირება ვარიანტებიან შეკითხვაში ისე, რომ მას ჰქონდეს დაკოპირების საშუალება და არ დასჭირდეს სავარჯიშოში უცნობი სიტყვების გახსენება. დაეხმარეთ მას გაიგოს "ან" -ის მნიშვნელობა, ამისათვის ხელი დააფარეთ ერთ-ერთ ვარიანტს. იქნებ შენ გინდა გააფერადო კუდი ან ყური?

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ნაცვალსახელების გასაგებად საჭიროა მოსმენის დიდი პრაქტიკა. მონაცვლეობითი წესის თამაშების დროს მოახდინეთ სიტყვების აკუსტიკური აქცენტირება შენი ჯერია + ჩემი ჯერია, ხოლო შემდეგ მიჰყევით თქვენს სიტყვებს ჟესტით, რაც მას გაგებაში დაეხმარება. მიაწოდეთ crayon-ები შენი ჯერია, , შემდეგ თქვენ აიღეთ crayon-ები ჩემი ჯერია. არ დაგავიწყდეთ კიიდევ ერთხელ გაიმეოროთ სიტყვები ჟესტის შემდეგ.

მოსალოდნელი შედეგები

- იმეორებს ცალკეულ სიტყვებს.
- იყენებს სიტყვას: ჩართვა/გამორთვა.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი:ვარიანტებიან შეკითხვებით და სიტყვების მოდელირების გამოყენებით, საშუალებას აძლევს ბავშვს გაიმეოროს იგი სიტყვის დამახსოვრების გარეშე. ამით მას საშუალება ექნება შეადაროს თავისი გაჟღერებული სიტყვა თქვენსას და ისწავლიან საკუთარი ნათქვამის შესწორებების გაკეთებას, რომელიც უფრო შეესაბამება მოსმენილს.

ფიქრის იგივე ადგილი: ყველა მოქმედებას დაურთეთ სიტყვები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თქვენ და ბავშვი ერთსა და იმავეს უყურებთ და ფიქრობთ. ოჰ, ეს თავსახური უნდა მოვხსნათ.

მოსალოდნელი შედეგები

- ინარჩუნებს ყურადღებას მონაცვლეობითობის დროს.

ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მონაცვლეობითობა მნიშვნელოვანი სოციალური და საკომუნიკაციო უნარია, მაგრამ მცირეწლოვან ბავშვებს უჭირთ ყურადღებით ყოფნა, როდესაც მათი ჯერი არ არის. გაუმარტივეთ საქმე სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვების უზრუნველყოფით. ოჰ შეხედე!, მე თითქმის დავასრულე!, ცოტაღა დამრჩა დასრულებამდე!

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. გაფერადება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა4
- ფერადი ფანქრები და crayon-ები

თქვენ მორიგეობით უნდა გააფერადოთ ერთი ცხოველის ნაწილი.

1. მოათავსეთ კატის და ძაღლის მთავარი გვერდები გვერდიგვერდ, ბავშვის წინ.
2. აუხსენით და აჩვენეთ, თუ როგორ აპირებთ ერთი ცხოველის მხოლოდ ერთი ნაწილის გაფერადებას.
3. წაახალისეთ ბავშვი არჩიოს ფერი, შემდეგ აირჩიოს რომელი ცხოველის რომელი ნაწილი უნდა გააფერადოს.
4. დაეხმარეთ ბავშვს არჩევაში ვარიანტების შეთავაზებით.
5. გააფერადეთ მონაცვლეობით.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას:
  - კატა/ძაღლი + სხეულის ნაწილი; მაგალითად: კატის კუდი
- ესმის სიტყვა "ან"-ის მნიშვნელობა კონტექსტში; მაგალითად: შენ შეგიძლია გააფერადო კატის კუდი ან ძაღლის ყური.
- ესმის მნიშვნელობები: შენი/ჩემი.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მოახდინეთ ბავშვისთვის სამიზნე ენის მოდელირება ვარიანტებიან შეკითხვაში ისე, რომ მას ჰქონდეს დაკოპირების საშუალება და არ დასჭირდეს სავარჯიშოში უცნობი სიტყვების გახსენება. დაეხმარეთ მას გაიგოს "ან" -ის მნიშვნელობა, ამისათვის ხელი დააფარეთ ერთ-ერთ ვარიანტს და თითოეული ვარიანტების შეთავაზებისას 2 ნივთი აარჩევინეთ. ხომ არ გინდა გააფერადო კატის ყური ანძაღლის კუდი?

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ნაცვალსახელების გასაგებად საჭიროა მოსმენის დიდი პრაქტიკა. მონაცვლეობითი წესის თამაშების დროს მოახდინეთ სიტყვების აკუსტიკური აქცენტირება. შენი ჯერია + ჩემი ჯერია

მოსალოდნელი შედეგები

- აერთიანებს სიტყვებს
  - ცხოველი + სხეულის ნაწილი: მე ძაღლის ყურს გავაფერადებ.
  - ზმნა + სხეულის ნაწილი; მაგალითად: გააფერადე კუდი
  - ფერი + სხეულის ნაწილი; მაგალითად: ნახე, მას აქვს ნარინჯისფერი ფეხები.
- იყენებს: თავსახური + დახურვა/ახდა

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: ვარიანტებიან შეკითხვებით და სიტყვების მოდელირების გამოყენებით, საშუალებას აძლევს ბავშვს გაიმეოროს იგი სიტყვის დამახსოვრების გარეშე. ამით მას საშუალება ექნება შეადაროს თავისი გაუღერებული სიტყვა თქვენსას და ისწავლიან საკუთარი ნათქვამის შესწორებების გაკეთებას, რომელიც უფრო შეესაბამება მოსმენილს.

ფიქრის იგივე ადგილი: ყველა მოქმედებას დაურთეთ სიტყვები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თქვენ და ბავშვი ერთსა და იმავეს უყურებთ და ფიქრობთ: ოჰ, ეს თავსახური უნდა მოვხსნათ..

მოსალოდნელი შედეგები

- ინარჩუნებს ყურადღებას მონაცვლეობითობის დროს.

ძირითადი სტრატეგია

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: მონაცვლეობითობა მნიშვნელოვანი სოციალური და საკომუნიკაციო უნარია, მაგრამ მცირეწლოვან ბავშვებს უჭირთ ყურადღებით ყოფნა, როდესაც მათი ჯერი არ არის. გაუმარტივეთ საქმე სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვების უზრუნველყოფით. ოჰ, შეხედე! მე თითქმის დავასრულე! ცოტაღა დამრჩა დასრულებამდე!

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. გაფერადება

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.

რესურსები

- კატები და ძაღლები - დ1 დ2 დ3 ა4
- ფერადი ფანქრები და crayon-ები

თქვენ მორიგეობით უნდა გააფერადოთ ერთი ცხოველის ნაწილი.

1. მოათავსეთ კატის და ძაღლის მთავარი გვერდები გვერდიგვერდ, ბავშვის წინ.
2. აუხსენით და აჩვენეთ, თუ როგორ აპირებთ ფერის არჩევას და ერთი ცხოველის მხოლოდ ერთი ნაწილის გაფერადებას.
3. წაახალისეთ ბავშვი არჩიოს ფერი და აირჩიოს რომელი ცხოველის რომელი ნაწილი უნდა გააფერადოს.
4. გააფერადეთ მონაცვლეობით.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას
  - ფერი + კატა/ძაღლი + სხეულის ნაწილები; მაგალითად: გააფერადე ძაღლის კუდი ლურჯად.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: არსებობს უამრავი სხვადასხვა მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია წინადადებაში ინფორმაციის ორი ერთეულის გაერთიანება. თუ ბავშვი ახლახანს გადავიდა მოსმენის მესამე დონეზე, იყავით თანმიმდევრული წინადადების სტრუქტურირებაში. მე კატის კუდს მწვანედ გავაფერადებ. თუ ბავშვი იწყებს სხვადასხვა ტიპის წინადადებების გამოყენებას, გააერთიანეთ ამ ინფორმაციის ნაწილები სხვადასხვა მეთოდით. მე ვაპირებ კატის კუდის გასაფერადებლად მწვანე ფერის გამოყენებას. ნახე, მე კატის კუდი მწვანედ გავაფერადე.

აკუსტიკური აქცენტირება: სხვადასხვა სიტყვებზე აქცენტირება წინადადებას განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მე გავაფერადებ მწვანედ კატის კუდს. მსმენელს იფიქრებს, რომ თქვენ ჯერ ძაღლის კუდზე ფიქრობდით და მერე კატის კუდი აირჩიეთ.

მოსალოდნელი შედეგები

- ზმნის დრო: მომავალი/აწმყო/წარსული; მაგალითად: ვაპირებ გაფერადებას, ვაფერადებ, გავაფერადე.
- იყენებს კუთვნილებითი ბრუნვის მარკერებს; მაგალითად: კატის/ძაღლის.

ძირითადი სტრატეგიები

ფიქრის იგივე ადგილი: თითოეული მოქმედებისას სიტყვების დართვა დაეხმარება ბავშვს ზმნის დროს წესების ამოცნობაში, გაგებაში და გამოყენებაში. მე უნდა გავაფერადო ძაღლის ყური ლურჯად. ჰეი, მიყურე… მე ვიყენებ ლურჯ ფერს და ვაფერადებ ძაღლის კუდს. მამა არ მიყურებდა. უთხარი, რომ დავასრულე. მე გავაფერადე კატის კუდი და შენ გააფერადე ძაღლის ყური. არ მახსოვს, მამამ რა გააფერადა? შეგიძლია მითხრა მამამ რა გააფერადა?”

გამოიყენეთ ვარიანტები: კუთვნილებითი ბრუნვის მარკერი არის პატარა გრამატიკული მარკერი, რომლის მოსმენაც ბავშვებისთვის ხშირ შემთხვევაში რთულია, რადგან ის არის სწრაფი და რბილი და, როგორც წესი, გამოიყენება წინადადების შუაში. უზრუნველყავით აკუსტიკური აქცენტირება ვარიანტებიან შეკითხაში იმისათვის, რომ ბავშვისთვის უფრო ადვილი იყოს თვალყურისდევნება და გამოყენება. კატის ყური თქვი თუ ძაღლის ყური?

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს სალაპარაკო ენას მონაცვლეობითი წესით.
- ითვალისწინებს სხვის არჩევანს.

ძირითადი სტრატეგია

სიგნალი-ხმაურის თანაფარდობა - მოსმენის გარემო: გაკვეთილზე სიგნალის და ხმაურის თანაფარდობა კარგი იქნება. მაგრამ კლასში შეიძლება ასე არ იყოს, ამიტომ ივარჯიშეთ იმ ენაზე, რომელიც ბავშვს სჭირდება ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად, რათა ფონურმა ხმაურმა ნაკლებად იმოქმედოს მის სოციალურ უნარებზე. უთხარი დედას, რომ ახლა მისი ჯერია. მე მგონი შენ ჩემს შემდეგ ხარ. ახლა ჩემი ჯერია? ვის შემდეგ ვარ? ოჰ, მშვენივრად გამოიყურება.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. გაფერადება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. გაფერადება



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00272 1.0

MED-EL-ის სამედიცინო აღჭურვილობა
ფურსტენვეგ 77ა | 6020 ინსბრუკი, ავსტრია | office@medel.com

medel.com